სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2024 წლის 24 დეკემბერი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის №30 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 24/01/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.120.016390) შეტანილ იქნეს ცვლილება.

მუხლი 2

დადგენილების დანართი №1-ის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა

საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს **900,40 (ცხრაასი ლარი და 40 თეთრი) ლარით“.**

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ვაჟა სტურუა**
მოვალეობის შემსრულებელი